



საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

სასამართლო მონიტორინგის ანგარიში

№1

კვლევის პერიოდი: 2011 წლის ოქტომბერი - 2012 წლის თებერვალი

2012 წლის მაისი

თბილისი, საქართველო

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „ადმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

შინაარსი

მადლიერების გამოხატვა.....	3
მიზანი და მეთოდოლოგია.....	4
ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი პრინციპები	8
მთავარი შედეგები.....	9
პუნქტუალურობა	9
შედეგები	9
საქმის განხილვის საქვეყნობის პრინციპი	11
შედეგები	11
მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვის პრინციპი	15
შედეგები	16
ინკვიზიციურობის პრინციპი (მოსამართლის ინიციატივა)	21
შედეგები	22
მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობის პრინციპი	25
შედეგები	25
დავების შედეგები.....	28
სხვა მნიშვნელოვანი დაკვირვებები.....	30
დასკვნა	31

მადლიერების გამოხატვა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სურს, მადლიერება გამოხატოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და თბილისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოების მიმართ, რომელთაც მხარი დაუჭირეს ამ პროექტს და დამკვირვებლებს სასამართლო დარბაზებში ჩანაწერების თავისუფლად გაკეთების საშუალება მისცეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მადლობას უხდის სასამართლოთა ადმინისტრაციულ პერსონალს, მათ შორის, სასამართლოს მანდატურებს, მოსამართლეთა თანაშემწეებს და სასამართლო სხდომის მდივნებს.


ამასთანავე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მადლიერებას გამოხატავს „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ სასამართლო სისტემების სპეციალისტის, ბატონი ნილ ვაინშტეინის, მიმართ, რომელმაც ამ კვლევის განხორციელებაში თავისი უაღრესად ღირებული გამოცდილებით, წინადადებებითა და რჩევებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

მიზანი და მეთოდოლოგია


„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასამართლო მონიტორინგის პროექტის მიზანია, გაზარდოს სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა, ეფექტიანობა და ხელმისაწვდომობა ადმინისტრაციული სამართლის სფეროში. ამ მიზნის მისაღწევად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასამართლო მონიტორინგის ჯგუფი ესწრებოდა ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა სასამართლო განხილვებს, აგროვებდა ამ განხილვებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ამუშავებდა მიღებულ მონაცემებს, ადგენდა სტატისტიკურ მაჩვენებლებს და ამზადებდა დასკვნებს. ეს პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რადგან მისი შედეგები და დასკვნები საჯაროა. მონიტორინგის შედეგად ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდება ამომწურავი მიმოხილვა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სინამდვილეში პროცესები სასამართლო დარბაზებში. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ საქართველოს სასამართლო სისტემის მდგომარეობისა და იმ სფეროების შესახებ საჯარო დებატების გამართვას, რომლებიც შესაძლოა რეფორმირებას საჭიროებდეს.

ამ ანგარიშში აღწერილი სასამართლო მონიტორინგი მოიცავს პერიოდს 2011 წლის 5 ოქტომბრიდან 2012 წლის 20 თებერვლამდე. დაკვირვება წარმოებდა თბილისისა და ბათუმის პირველი ინსტანციის სასამართლოებში. მონიტორინგის პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აკვირდებოდა 108 საქმის განხილვას საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. მთლიანობაში, დამკვირვებლები დაესწრნენ და დააკვირდნენ 252 სასამართლო სხდომას. 77 საქმეზე (174 სხდომა) დაკვირვება განხორციელდა თბილისის საქალაქო სასამართლოში (თსს), 31 საქმეზე (78 სხდომა) დაკვირვება კი – ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ბსს).¹

გრაფიკი 1. სხდომები რომლებზეც განხორციელდა მონიტორინგი თბილისში (77 საქმეზე)



გრაფიკი 2. სხდომები რომლებზეც განხორციელდა მონიტორინგი ბათუმში (31 საქმეზე)



¹ იხ. დანართი 1, ცხრილი 1.1.

დაკვირვებისათვის საქმეები შეირჩეოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ოფიციალური განრიგისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს შენობაში გამოკრული განრიგის ან მისი ვებგვერდის მიხედვით.² ამასთანავე, დამკვირვებლები შემთხვევითი შერჩევის წესით ესწრებოდნენ სასამართლო სხდომებს, როდესაც მდივნები სასამართლოს შენობის დერეფანში აკეთებდნენ განცხადებას განსახილველი საქმის შესახებ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლებს ასევე კავშირი ჰქონდათ მოსამართლეთა თანაშემწეებთან, სასამართლოს მანდატურებთან და სასამართლოების ადმინისტრაციულ პერსონალთან, რომლებიც მათ აწვდიდნენ ინფორმაციას გასამართი სასამართლო სხდომების შესახებ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ არჩია, სასამართლო მონიტორინგის პროექტში აქცენტი უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ დავებზე გაეკეთებინა. ამის მიზეზი ის არის, რომ ბოლო წლებში მომრავლდა საკუთრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებული დავები. საკუთრების უფლების დარღვევის შესახებ განსაკუთრებით ბევრი ბრალდება გაისმის ბოლოდროინდელი ინფრასტრუქტურული განვითარებისა და უძრავი ქონებით სახელმწიფოს აქტიური დაინტერესების კონტექსტში.³ საკუთრების უფლების ასეთ დარღვევებთან დაკავშირებული რამდენიმე სარჩელი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოშიც იქნა შეტანილი.⁴ ამ აქცენტის გათვალისწინებით, სასამართლოების განრიგიდან ის საქმეები შეირჩა, რომლებშიც მხარე საჯარო რეესტრი, საკუთრების უფლების აღიარების კომისია ან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იყო.⁵ თუ ასეთი საქმის განხილვა დაგეგმილი არ იყო, დამკვირვებლები სასამართლო სხდომებს შემთხვევითი შერჩევის წესით ირჩევდნენ.⁶

მონიტორინგი იწყებოდა არა უგვიანეს მთავარი სხდომის საწყისი ეტაპიდან და გრძელდებოდა საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამგვარად, ერთი საქმე შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე სხდომას, რომლებზედაც დაკვირვება განხორციელდა. ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვების შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მოსაპოვებლად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დამკვირვებლების მიერ გამოსაყენებლად შეიმუშავა დეტალური კითხვარი, რომელიც ზუსტად

² 2012 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე ბათუმის საქალაქო სასამართლოს სხდომების განრიგი სასამართლოს შენობაში იყო გამოკრული, თებერვლის მეორე ნახევრიდან კი მის ვებგვერდზე გახდა ხელმისაწვდომი. 2012 წლის 14 მაისის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდია www.tcc.gov.ge; 2012 წლის 14 მაისის მდგომარეობით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდია <http://batumi.court.gov.ge>.

³ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სამუშაო ბარათი, 11/05/2011, <http://transparency.ge/post/report/საერთაშორისო-გამჭვირვალობა-საქართველოს-სამუშაო-ბარათი>, ნანახია 2012 წლის 14 მაისს; „საკუთრების დაუცველი უფლება საქართველოში“, 11/04/2012, <http://transparency.ge/post/press-release/საკუთრების-დაუცველი-უფლება-საქართველოში>, ნანახია 2012 წლის 14 მაისს; „საკუთრების უფლების დაცვის პრობლემა დაბა მესტიის მაგალითზე“ 2011წლის ივლისი, <http://transparency.ge/post/report/sakutrebis-uplebis-datsvis-problema-daba-mestiis-magalitze-2011-tslis-ivlisi>, ნანახია 2012 წლის 14 მაისს; „საკუთრების უფლების დაცვის პრობლემა სოფელ გონიოს მაგალითზე“ 2011 წლის მარტი, <http://transparency.ge/post/report/sakutrebis-uplebis-datsvis-problema-sopel-gonios-magalitze-marti-2011>, ნანახია 2012 წლის 14 მაისს, სტუდია „ჯი-ენ-ეს“-ის დოკუმენტური ფილმი „საკუთრების უფლებების დარღვევები – დიდმის საქმე“, <http://www.youtube.com/watch?v=ioAZneCO1nw>, ნანახია 2012 წლის 14 მაისს.

⁴ სტუდია „ჯი-ენ-ეს“-ის დოკუმენტური ფილმი „საკუთრების უფლებების დარღვევები – ანაკლიის საქმე“, <http://www.youtube.com/watch?v=HVu4iS6q2E>, ნანახია 2012 წლის 14 მაისს.

⁵ იხ. დანართი 2, ცხრილი 2.1.

⁶ გამონაკლისები იყო საგადასახადო საკითხებთან, სამხედრო სამსახურთან და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული დავები. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ განგებ შეიკავა თავი ასეთი საქმეების განხილვებზე დაკვირვებისაგან. საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ სხდომებზე დაკვირვება განსხვავებულ მეთოდოლოგიას, მიდგომას და სპეციალურ გამოცდილებას მოითხოვს, სამხედრო სამსახურთან და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული დავები კი მათი სიმარტივის გამო „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინტერესის საგანი არ ყოფილა.

იმეორებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საპროცესო მოთხოვნებს.⁷ მასში შემავალი ყოველი კითხვის შემდეგ დამატებით კომენტარებისთვის სპეციალურად დატოვებულია ცარიელი გრაფა. ეს იმის გარანტიას ქმნის, რომ დაფიქსირდეს სხდომის ყველა ასპექტი, რომელთა განსაკუთრებული ხასიათის გამო მათი რამდენიმეპასუხიანი კითხვების ფორმატში ასახვა შესაძლოა ადვილი არ იყოს. ამასთანავე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ შეიმუშავა ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც შეგროვებული ინფორმაციის ძალზე მარტივად დამუშავების და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების მიღების საშუალებას იძლევა. მონაცემთა ბაზა კითხვარის ბეჭდური ვერსიის იდენტურია, რაც ამარტივებს მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებასა და ადმინისტრირებას. ზემოაღნიშნული კითხვარი ამ ანგარიშის მე-9 დანართშია მოცემული, მონაცემთა ბაზა კი დაინტერესებული პირებისთვის მოთხოვნისთანავე გახდება ხელმისაწვდომი.

მონიტორინგს ახორციელებდა 3 სრულ განაკვეთზე დასაქმებული დამკვირვებელი თბილისში და 4 ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული დამკვირვებელი ბათუმში. ყველა დამკვირვებელი იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტია. ისინი ღია კონკურსის შედეგად გულდასმით შერჩნენ. დამკვირვებლებმა მონიტორინგის დაწყებამდე რამდენიმე დღიანი თეორიული და პრაქტიკული ტრენინგი გაიარეს.


როგორც წესი, თბილისის საქალაქო სასამართლოში დაკვირვებას დღის განმავლობაში სულ მცირე ორი დამკვირვებელი აწარმოებდა. ისინი ესწრებოდნენ როგორც ახალი საქმეების განხილვას, ისე გადადებულ სხდომებს. ვინაიდან ბათუმის საქალაქო სასამართლო მცირე რაოდენობის ადმინისტრაციულ საქმეებს იხილავს, დამკვირვებლები მას უფრო იშვიათად სტუმრობდნენ. დამკვირვებლებს ზედამხედველობდა კოორდინატორი, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ამ პროექტზე საგანგებოდ მიმაგრებული იურისტია.

ყოველ პარასკევს დგებოდა სხდომებზე დაკვირვების განრიგი მომავალი კვირისათვის. მომდევნო ორშაბათს, თსს-სა და ბსს-ს ადმინისტრაციული საქმეების განხილვის ოფიციალური განრიგების გათვალისწინებით, განრიგში აუცილებელი ცვლილებები შედიოდა. ყოველი მონიტორინგის დღის დასასრულს ყველა დამკვირვებელი შევსებულ საკონტროლო სიებს კოორდინატორს გადასცემდა. იმ საქმეების შესახებ მონაცემები, რომელთა განხილვა უკვე დასრულებული იყო, მიმდინარე საქმეების შესახებ მონაცემებისგან განცალკევებით ინახებოდა. ყოველი მომდევნო სხდომის გამართვის თარიღი და დრო „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასამართლოს მონიტორინგის კალენდარში აღინიშნებოდა.

⁷ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, თბილისი, 23/07/1999, №2352-რს; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 14/11/1997, №1106 ის.

გრაფიკი 3. საქმეები, რომლებზედაც მონიტორინგი მხარედ წარმოდგენილი ადმინისტრაციული ორგანოს მიხედვით განხორციელდა (108 საქმე)

- საჯარო რეესტრი, საკუთრების უფლების აღიარების კომისია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- მერია, ზედამხედველობის სამსახური
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
- აღსრულების ეროვნული ბიურო
- სხვა



ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი პრინციპები

სამართლებრივი პრინციპები ორ ძირითად კატეგორიად – ზოგად და სპეციალურ პრინციპებად – იყოფა. პირველი კატეგორიის პრინციპები თავმოყრილია კონსტიტუციაში, მეორე კატეგორიის პრინციპები კი, ზოგად სამართლებრივ პრინციპებთან ერთად, სამართლის კონკრეტული სფეროების შინაარსს შეადგენს. სამართლის სხვადასხვა სფეროს ერთმანეთისგან სწორედ სპეციალური პრინციპები განასხვავებს.⁸

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ახორციელებდა შემდეგი ზოგადი და სპეციალური პრინციპების დაცვის მონიტორინგს, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალს ეხება:

- საქმის განხილვის საქვეყნოობის პრინციპი;⁹
- მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვის პრინციპი;¹⁰
- ინკვიზიციურობის პრინციპი;¹¹
- შეჯიბრებითობის პრინციპი (მხარეთა თანასწორობა, დავის მიუკერძოებელი გადაწყვეტა).¹²

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ადმინისტრაციული სამართალწარმოება ძირითადად ინკვიზიციურობის პრინციპის მიხედვით უნდა ხორციელდებოდეს.¹³ ეს პრინციპი, რომელიც ამ ანგარიშის შესაბამის თავში იქნება განხილული, ადმინისტრაციულ პროცესს სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესებისგან განასხვავებს. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვები მხოლოდ შეჯიბრებით პროცესს ეფუძნება. ინკვიზიციურ სისტემაში მოსამართლე სხდომაზე გაცილებით აქტიურ როლს ასრულებს, ვიდრე შეჯიბრებითობის სისტემაში.¹⁴ შესაბამისად, მონიტორინგის პროცესში აქცენტი მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვაზე კეთდებოდა.

სამართლის ძირითად პრინციპებთან ერთად, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას არეგულირებს, დაკვირვება მოსამართლეების პუნქტუალურობაზედაც წარმოებდა.

⁸ მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, გვ. 19.

⁹ საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 24/08/1995, №786-რს, მუხლი 85; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 04/11/1950, მუხლი 6; საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, თბილისი, 4/12/2009, №2257-IIIს, მუხლი 13.

¹⁰ მ. კოპალეიშვილი და სხვები, გვ. 27.

¹¹ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 4; მ. კოპალეიშვილი და სხვები, გვ. 25.

¹² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლები 14 და 85; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 4 და 5.

¹³ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 4.

¹⁴ მ. კოპალეიშვილი და სხვები, გვ. 27.

პუნქტუალურობა

პუნქტუალურობის შეფასება აუცილებელია იმის საჩვენებლად, თუ როგორ მართავენ მოსამართლეები საკუთარ დროს და რამდენად ორგანიზებული არიან ისინი. პუნქტუალურობის შემოწმებისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აფასებდა, სასამართლო სხდომები თსს-ს ან ბსს-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ყოველდღიურ ოფიციალურ განრიგში ან ბსს-ს განცხადებების დაფაზე მითითებულ დროზე გვიან იწყებოდა თუ არა.

ზოგჯერ მოსამართლეები დაგვიანების მიზეზს ასახელებდნენ (მაგალითად, ამბობდნენ, რომ წინა სხდომა მეტისმეტად დიდხანს გაგრძელდა, ან სასამართლო მხარეთა გამოცხადებას ელოდებოდა და სხვ.), მაგრამ უმეტესად სხდომის დაწყების დაგვიანების მიზეზზე კომენტარს არ აკეთებდნენ და, შესაბამისად, ეს მიზეზი უცნობი რჩებოდა.

თბილისსა და ბათუმში პუნქტუალურობასთან დაკავშირებით განსხვავებული სტატისტიკური მონაცემები დაფიქსირდა; ბათუმში ამ მხრივ უარესი მდგომარეობა იყო.

შედეგები

თბილისი

იმ სხდომების თითქმის ორი მესამედი, რომლებზე დაკვირვებაც თბილისში განხორციელდა, დაგვიანებით იწყებოდა; დროულად მხოლოდ სხდომათა 35.1% (174-დან 61) დაიწყო.¹⁵

იმ მოსამართლეებიდან, რომლებმაც სხდომაზე დაიგვიანეს, თბილისში მომუშავენი საშუალოდ 8.7 წუთით აგვიანებდნენ, თუმცა ზოგჯერ დაგვიანება ბევრად მეტი იყო, ერთ შემთხვევაში კი მოსამართლემ 108 წუთით დაიგვიანა. იმ სხდომებიდან, რომლებიც დაგეგმილზე გვიან დაიწყო, 58.4%-ის (113-დან 66-ის) დაწყება 10 წუთით ან მეტით დაგვიანდა. მოსამართლემ დაგვიანების მიზეზი მხოლოდ ამ სხდომათა 25.8%-ის (66-დან 17) შემთხვევაში გამოაცხადა.¹⁶

სხდომების 22.7%-ის (66-დან 15) შემთხვევაში დაგვიანების მიზეზი ის იყო, რომ წინა სხდომა მეტისმეტად დიდხანს გაგრძელდა, 9.1%-ის (66-დან 6) შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე სასამართლოში დაგვიანებით გამოცხადდა, 7.6%-ის (66-დან 5) შემთხვევაში კი დაგვიანების სხვა მიზეზი დასახელდა.¹⁷

¹⁵ იხ. დანართი 3, ცხრილი 3.1.

¹⁶ იხ. დანართი 3, ცხრილები 3.3 და 3.4.

¹⁷ იხ. დანართი 3, ცხრილი 3.5. სხდომების დაგვიანებით დაწყების „სხვა“ მიზეზები ასეთი იყო: სასამართლო დარბაზი თავისუფალი არ იყო; სასამართლო დარბაზი ჩანიშნული არ იყო; ავტოჩაწერის სისტემა წესრიგში არ იყო და მოსამართლე ემუშავებდა მდივანს, რომ მას სხდომაზე წერილობითი ჩანაწერები გაეკეთებინა; მოსამართლე დაკავებული პირის სასამართლოს შენობაში მიყვანას ელოდებოდა; მოსამართლე ელოდებოდა მდივანს, რომ მას მოეტანა მოსამართლის ინიციატივით გამოთხოვილი მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელესთან გადაგზავნილი არ იყო.


ბათუმი

ბათუმში სხდომათა 70%-ზე მეტი დაგვიანებით იწყებოდა; დროულად მხოლოდ მათი 29.5% (78-დან 23) დაიწყო.¹⁸


საშუალო დაგვიანება 21.4 წუთს შეადგენდა, მაქსიმალური დაგვიანება კი 106 წუთს აღწევდა. იმ სხდომებიდან, რომლებიც დაგეგმილზე გვიან იწყებოდა, 94.6% (55-დან 52) 10 წუთის ან მეტის დაგვიანებით დაიწყო. მოსამართლემ დაგვიანების მიზეზი მხოლოდ ამ სხდომათა 11.5%-ის (52-დან 6) შემთხვევაში გამოაცხადა.¹⁹

სხდომების 7.7%-ის (52-დან 4) შემთხვევაში დაგვიანების მიზეზი ის იყო, რომ წინა სხდომა მეტისმეტად დიდხანს გაგრძელდა, 5.8%-ის (52-დან 3) შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე სასამართლოში დაგვიანებით გამოცხადდა, 5.8%-ის (52-დან 3) შემთხვევაში კი დაგვიანების სხვა მიზეზი დასახელდა.²⁰

გრაფიკი 4. თბილისში დაგვიანებით დაწყებული სხდომები (174 სხდომა)



გრაფიკი 5. ბათუმში დაგვიანებით დაწყებული სხდომები (78 სხდომა)



¹⁸ იხ. დანართი 3, ცხრილი 3.1.

¹⁹ იხ. დანართი 3, ცხრილები 3.3 და 3.4.

²⁰ იხ. დანართი 3, ცხრილი 3.5. სხდომების დაგვიანებით დაწყების „სხვა“ მიზეზები ასეთი იყო: სასამართლო დარბაზი ჩანიშნული არ იყო; მდივანი ადგილზე არ იყო; სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდა.

საქმის განხილვის საქვეყნოების პრინციპი

საქმის განხილვის საქვეყნოების პრინციპი გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლით, რომელიც აცხადებს, რომ სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე.²¹ ეს უფლება გათვალისწინებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით, რომლის თანახმად, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.²² საქმის ღია სხდომაზე განხილვის უფლებას აღიარებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლიც, რომლის მიხედვით, სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.²³

იმისთვის, რომ გარანტირებული იქნეს საქმის საჯაროდ (საქვეყნოდ) განხილვის უფლება, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ დაინტერესებულ მხარეებს სხდომებზე დასწრება თავისუფლად შეეძლოთ, ასევე წინასწარ იყვნენ ინფორმირებული ყოველი სხდომის თარიღისა და დაწყების ზუსტი დროის შესახებ. ამ უფლების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა, გაიგოს დავის შინაარსი, ანუ შეძლოს მოისმინოს მხარეების, მოწმეების, ექსპერტების/სპეციალისტების/თარჯიმნების, მოსამართლისა და სასამართლო სხდომის მდივნის განცხადებები ან/და კომენტარები. შესაბამისად, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ, როგორც მისი, ისე სასამართლო დარბაზში სიტყვით გამომსვლელ სხვა პირთა განცხადებები საკმარისად ხმამაღლა და მკაფიოდ ისმოდეს, რათა სასამართლო დარბაზში მჯდომმა რიგითმა მოქალაქემ მათი მოსმენა და გაგება შეძლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის საქვეყნოდ განხილვის უფლების რეალიზაცია შეფერხდება.

შედეგები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სასამართლო მონიტორინგის პროექტის შედეგად დაადგინა, რომ, ზოგადად, ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვებზე დასწრება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია. დამკვირვებლებს სასამართლო დარბაზში ჩანაწერების გაკეთებისას პრობლემები არ შეჰქმნიათ. სასამართლოს მანდატურები და სხდომის მდივნები მათ ხშირად სასამართლო დარბაზის მოძებნაში ეხმარებოდნენ. ამის მიუხედავად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დააფიქსირა რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც შეიძლება საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებული საქმის საქვეყნოდ განხილვის უფლების დარღვევად იქნეს მიჩნეული.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დამკვირვებლებმა აღმოაჩინეს, რომ ზოგჯერ თსს-ს ოფიციალურ განრიგში ან ვებგვერდზე სასამართლო სხდომები აღნიშნული არ იყო.²⁴ სხდომების

²¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85, პუნქტი 1.

²² ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6, პუნქტი 1.

²³ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 13, პუნქტები 1 და 2.

²⁴ www.tcc.gov.ge. მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში ბსს-ს ვებგვერდზე ოფიციალური განრიგი არ გამოქვეყნებულა; შესაბამისად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ არ განუხორციელებია იმ სხდომების მონიტორინგი, რომლებიც ბათუმის საქალაქო სასამართლოს განრიგში მითითებული არ იყო.

13.2%-ის (174-დან 23-ის) გამართვის თარიღი გამოცხადებული არ ყოფილა.²⁵ მაგალითად, 2012 წლის 20 იანვარს დანიშნული სხდომები თსს-ს ელექტრონულ განცხადებების დაფაზე არ იყო ასახული. ამასთანავე, 2011 წლის 3 ოქტომბრიდან 7 ოქტომბრამდე პერიოდში თსს-ში ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვების ნაცვლად სამოქალაქო საქმეთა განხილვების განრიგი გამოქვეყნდა.

აღსანიშნავია, რომ თსს-ს ოფიციალურ განრიგში არ იყო აღნიშნული სხდომები საქმეზე, რომელმაც თბილისის საზოგადოების მნიშვნელოვანი ინტერესი გამოიწვია. ის ეხებოდა თბილისის საკრებულოს მიერ 2011 წლის 24 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით, თბილისის მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებელი თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერჯის ოდენობის მიხედვით განისაზღვრა.²⁶ ამ ახალი გადასახადის შემოღებას მოქალაქეებისა და მასმედიის უკმაყოფილების ტალღა მოჰყვა, რადგან ნარჩენების დასუფთავებასა და ელექტროენერჯის მოხმარებას შორის ლოგიკური კავშირი არ არსებობს. საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი ასევე ამტკიცებდა, რომ ახალი წესი მოსახლეობის მიერ გადასახდელი დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობას ბევრად ზრდიდა; ამიტომ თსს-ში შეტანილ იქნა სარჩელი ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. მას შემდეგ, რაც მოსამართლემ აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებული გადაწყვეტილება გამოიტანა, თსს-ს ვებგვერდზე გამოქვეყნდა პრესრელიზი, რომელიც სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შესახებ იტყობინებოდა.²⁷ მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმით საზოგადოება დიდად იყო დაინტერესებული, სასამართლოს განრიგში მხოლოდ პირველი სხდომის შესახებ იყო მითითებული ინფორმაცია; მომდევნო სხდომები განრიგში აღარ გამოქვეყნებულა.²⁸

ერთ-ერთი საქმის განხილვისას, რომლის დროსაც სასამართლო სხდომა აუდიოსისტემის მეშვეობით არ ჩაწერილა და ოქმს მდივანი წერილობით ადგენდა, მოსამართლემ მას მიუთითა, ოქმში აღენიშნა, რომ მხარეები მორიგების მიღწევის პროცესში იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე მორიგების წინააღმდეგი იყო და მოსამართლის ქმედების გამო პროტესტი გამოხატა. სხვა საქმის განხილვისას, რომლის დროსაც ტექნიკური პრობლემების გამო სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის გაკეთება ასევე ვერ მოხერხდა, მოსამართლემ მხარეებს ახსნა-განმარტების წარმოთქმისას რვა კითხვა დაუსვა და მდივანს მიუთითა, რომ მხოლოდ პასუხები ჩაეწერა, თავად კითხვები კი გამოეტოვებინა. მოსამართლემ განაცხადა, რომ კითხვების მიზანი ახსნა-განმარტებების მისთვის ყველაზე მოხერხებული ფორმით ჩამოყალიბება იყო.

თსს-ში დამკვირვებლებმა მოსარჩელის ადვოკატის/წარმომადგენლის ვინაობის დადგენა საქმეთა 13%-ში (77-დან 10-ში) ვერ შეძლეს, ბსს-ში კი მათი ვინაობა საქმეთა მხოლოდ 3.2%-ში (31-დან 1-ში) ვერ დადგინდა. თსს-ში დამკვირვებლებმა მოპასუხის ადვოკატის/წარმომადგენლის ვინაობის დადგენა საქმეთა 15.6%-ში (77-დან 12-ში) ვერ მოახერხეს, ბსს-ში კი მათი ვინაობა საქმეთა 6.5%-ში (31-დან 2-ში) ვერ დადგინდა.²⁹ ამის მიზეზი იყო როგორც სასამართლო დარბაზების ცუდი აკუსტიკა, ისე მდივანების მიერ სახელების გაურკვევლად და სწრაფად წარმოთქმა.

არც თსს-ში და არც ბსს-ში სხდომათა განრიგში არასოდეს ყოფილა მითითებული განსახილველი საქმის დავის საგანი, ანუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლი.

²⁵ იხ. დანართი 4, ცხრილი 4.1.

²⁶ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება 7-38, 24/06/2011.

²⁷ <http://tcc.gov.ge/index.php?m=556&newsid=348>, ნანახია 2012 წლის 14 მაისს.


²⁸ http://tcc.gov.ge/index.php?m=560&date_start=2011.08.10&date_end=2011.08.10&adm_search_in=0&search_products=&ge_o=on&x=15&y=9&action=adm_search, ნანახია 2012 წლის 14 მაისს.

²⁹ იხ. დანართი 4, ცხრილები 4.2 და 4.3.


მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნა კანონით გათვალისწინებული არ არის, დავის საგნის გამოქვეყნება შესაბამისი მუხლის მითითებით (როგორც ეს სისხლის სამართლის საქმეებზე ხდება) დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემდა, სასამართლო დარბაზში შესვლამდე გაეგო, ზოგადად რა საკითხს შეეხებოდა სხდომა. აღნიშნული ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება გაზრდიდა საჯაროობას და გააადვილებდა საქმის საქვეყნოდ განხილვის უფლებით სრულყოფილად სარგებლობას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო სხდომების აუდიო ჩაწერისას მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სხვა და სხვა სახის ხარვეზები. უნდა შეწყდეს მოსამართლეების მითითებით სხდომის ჩაწერის შეჩერების ცალკეული შემთხვევებიც კი და მდივნებისთვის სხდომის ოქმთან დაკავშირებით მითითებების მიცემა. ამასთანავე აუცილებელია მოსამართლეებმა უზრუნველყონ როგორც მდივნების ასევე პროცესში მონაწილე პირების, გარკვევით საუბარი, რათა დამსწრე აუდიტორიისთვის გასაგები იყოს სხდომის დარბაზში მიმდინარე პროცესის შინაარსი და ამით დაცული იქნეს საქმის საქვეყნოდ განხილვის პრინციპი.


გრაფიკი 6. განრიგში წინასწარ გამოუქვეყნებელი სხდომები (თბილისი) (174 სხდომა)



გრაფიკი 7. მოსარჩელის ადვოკატის/წარმომადგენლის ვინაობის დადგენა
(თბილისი – 77 საქმე, ბათუმი – 31 საქმე)



გრაფიკი 8. მოპასუხის ადვოკატის/წარმომადგენლის ვინაობის დადგენა
(თბილისი – 77 საქმე, ბათუმი – 31 საქმე)



მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვის პრინციპი

ზოგადი პრინციპების თანახმად, რომლებიც სასამართლო სხდომის წარმართვას შეეხება, მოსამართლე ვალდებულია სხდომა სათანადოდ წარმართოს, დაიცვას საპროცესო ვადები, ყველა საპროცესო ეტაპი საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული თანამიმდევრობით გაიაროს, გამოიკვლიოს საქმის ყველა ასპექტი და დაადგინოს სიმართლე. მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვას სარჩელის წარდგენის მომენტიდან საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.³⁰

ამ ზოგად პრინციპებთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსები ადგენს კონკრეტულ საპროცესო ნორმებს, რომლებიც მოსამართლემ ადმინისტრაციული საქმის განხილვისას უნდა დაიცვას. მაგალითად, მოსამართლემ უნდა გამოაცხადოს, რომელი საქმე იხილება, ასევე გამოაცხადოს სასამართლო შემადგენლობა, სხდომაზე დამსწრე პირები გააფრთხილოს წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების შესახებ და მხარეებს გააცნოს მათი უფლებები, მათ შორის, მოსამართლის აცილებისა და საქმეზე მორიგების მიღწევის უფლებები. საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებისას მოსამართლე ვალდებულია მიუთითოს იმ მტკიცებულებებზე და კანონის შესაბამის მუხლებზე, რომლებსაც ის დაეყრდნო, და განმარტოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.³¹ მოსამართლე, რომელიც ადმინისტრაციულ საქმეს იხილავს, ასევე ვალდებულია შეასწოროს ფორმალური შეცდომები და სხდომის მიმდინარეობისას გააკეთოს მნიშვნელოვანი განმარტებები.³²

მოსამართლემ უნდა დაიცვას საპროცესო კანონმდებლობის ყველა ნორმა და მხარეთა თანხმობის გარეშე არ უნდა გამოტოვოს საქმის განხილვის არც ერთი ეტაპი. საქმის ყველა ასპექტის დასადგენად განხილვის ყველა ეტაპის გავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ასევე მნიშვნელოვანია სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვა, რასაც შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. მხარეებმა საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა და განცხადებების გაკეთება ყოველგვარი არეულობისა და დაბრკოლების გარეშე უნდა შეძლონ.

იმ წესების სათანადო შესრულება, რომლებიც სხდომების წარმართვას არეგულირებს, იმის გარანტიას ქმნის, რომ ადმინისტრაციული საქმეების განხილვის მარეგულირებელი როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული პრინციპები სრულად იქნება დაცული. სხდომების სათანადოდ წარმართვა იმის გარანტიასაც იძლევა, რომ მხარეები ისარგებლებენ საპროცესო უფლებებით, მათ შორის, განცხადებების გაკეთების, არგუმენტებისა და სამხილების წარდგენის, მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გადამოწმების, მოწმეებისთვის კითხვების დასმის და სხვა მნიშვნელოვანი უფლებებით.

როგორც წესი, საქმე მთავარ სხდომაზე მხოლოდ მას შემდეგ იხილება, რაც კარგად მომზადდება მოსამზადებელ ან/და განმწესრიგებელ სხდომაზე. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ მთავარი სხდომა საქმეზე გამართული პირველი სხდომა არ არის და მხარეები უკვე იცნობენ თავიანთ უფლებებს, მათი ვინაობა გადამოწმებულია, მორიგების მიღწევა მათ უკვე შესთავაზეს და სხვ. ამიტომ მონიტორინგის შედეგების გაცნობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საპროცესო კანონმდებლობის დაცვას

³⁰ მ. კოპალეიშვილი და სხვები, გვ. 28.

³¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 210, 211, 214, 217, 218 და 257.

³² მ. კოპალეიშვილი და სხვები, გვ. 28.

მოსამზადებელი სხდომის ეტაპზე. ამის მიუხედავად, მოსამართლე ვალდებულია მთავარი სხდომის გახსნისას დამატებით დაიცვას საპროცესო მოთხოვნები.³³

შედეგები

როგორც თსს-ს, ისე ბსს-ს მოსამართლეები ზოგიერთ საპროცესო მოთხოვნას კარგად იცავდნენ. ამის მიუხედავად, უმეტესად ეს პრაქტიკა თანამიმდევრული არ ყოფილა და შესაბამისი საპროცესო მოთხოვნები ყოველთვის სრულად არ იყო დაცული.

მოსამართლეები რეგულარულად იცავდნენ შემდეგ საპროცესო მოთხოვნებს:

- ამოწმებდნენ სხდომაზე დამსწრე მხარეთა ვინაობას და ადვოკატების/წარმომადგენლების მინდობილობას/ვინაობას;³⁴
- აცხადებდნენ, რომელი საქმე იხილებოდა;³⁵
- აცხადებდნენ სასამართლო შემადგენლობას;³⁶
- სხდომაზე დამსწრე პირებს აფრთხილებდნენ წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების შესახებ;³⁷
- მხარეებს აცნობდნენ მოსამართლის აცილებისა და შუამდგომლობების დაყენების უფლებას.³⁸

ამასთანავე, საქმეთა დიდ უმრავლესობაში მოსამართლე მხარეებთან კონსულტაციის გარეშე არ ტოვებდა სხდომის არც ერთ საპროცესო ეტაპს; ან ყველა ეტაპი ტარდებოდა, ან მხარეები თანხმობას აცხადებდნენ რომელიმე მათგანის გამოტოვებაზე. ასე მოხდა თსს-ში განხილული საქმეების 93.6%-ში (77-დან 72-ში) და ბსს-ში განხილული საქმეების 71%-ში (31-დან 22-ში).³⁹

ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლისას მოსამართლე მომდევნო ეტაპზე გადასვლის შესახებ თსს-ში განხილულ საქმეთა 94.8%-ში (77-დან 73-ში) და ბსს-ში განხილულ საქმეთა 96.8%-ში (31-დან 30-ში) აცხადებდა.⁴⁰

მოსამართლე მხარეებს იმის შესახებ, სურდათ თუ არა მათ საქმეში არსებული მტკიცებულებების მიმოხილვა, თსს-ში განხილული საქმეების 94.8%-ში (77-დან 73-ში) ეკითხებოდნენ. ბსს-ს შემთხვევაში მოსამართლეები ასე საქმეების 93.5%-ში (31-დან 29-ში) მოიქცნენ.⁴¹

როგორც თბილისში, ისე ბათუმში მოსამართლეებს სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვა დიდად არ უჭირდათ; თუმცა ბსს-ში 31-დან 3 საქმის განხილვის შემთხვევაში მოსამართლემ დარბაზში წესრიგის დაცვა ვერ მოახერხა, თსს-ში კი ყველა სხდომაზე, რომლებსაც დამკვირვებლები დაესწრნენ, დარბაზში წესრიგი იყო.⁴²

³³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 203, 205, 207 და 210.

³⁴ იხ. დანართი 5, ცხრილები 5.1 და 5.2.

³⁵ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.3.

³⁶ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.4.

³⁷ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.5.

³⁸ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.6.

³⁹ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.7.

⁴⁰ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.8.

⁴¹ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.9.

⁴² იხ. დანართი 5, ცხრილი 5.10.

ამის მიუხედავად, მოსამართლეები პროცედურების დაცვას ზოგიერთ შემთხვევაში ვერ ახერხებდნენ. მაგალითად, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოსამართლეებმა მხარეებს მათი საპროცესო უფლებები არ გააცნეს. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსამზადებელი სხდომის ეტაპზე.

მოსამზადებელი სხდომების უმრავლესობაში მოსამართლეები მხარეებს არ აცნობდნენ მათ უფლებას მორიგებაზე. ამ უფლების შესახებ მათ თსს-ში გამართული მოსამზადებელი სხდომების 75%-ის (28-დან 21) შემთხვევაში არ ეცნობათ, ბსს-ში კი ეს რიცხვი 63.6% (11-დან 7) იყო.⁴³

მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმისა და მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის უფლებების თაობაზე მხარეებისთვის თსს-ში გამართული მოსამზადებელი სხდომების 89.3%-ის (28-დან 25) შემთხვევაში არ უცნობებიათ. ბსს-ში ამ უფლებების შესახებ ინფორმაცია მხარეებისთვის არც ერთ მოსამზადებელ სხდომაზე არ მიუწოდებიათ.⁴⁴

მეორე მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობებზე მოსაზრებების გამოთქმის უფლების შესახებ ინფორმაცია მხარეებს თსს-ში გამართული მოსამზადებელი სხდომების 89.3%-ის (28-დან 25) შემთხვევაში არ მიუღიათ. ბსს-ში ეს ინფორმაცია მხარეებისთვის არც ერთ მოსამზადებელ სხდომაზე არ მიუწოდებიათ.⁴⁵

სასამართლოში არსებული საქმის მასალების გაცნობისა და მათი ასლების მიღების უფლების შესახებ ინფორმაცია მხარეებისთვის თსს-ში გამართული მოსამზადებელი სხდომების 85.7%-ის (28-დან 24) შემთხვევაში არ მიუწოდებიათ. ბსს-ში ამ უფლების თაობაზე მხარეებისთვის 11-დან არც ერთ მოსამზადებელ სხდომაზე არ უცნობებიათ.⁴⁶

ხარვეზები ადმინისტრაციული საქმეების განხილვის სხვა ეტაპებზედაც დაფიქსირდა. მაგალითად, მოსამართლეები ხშირად სვამდნენ გადამეტებული რაოდენობისა და არსებითი ხასიათის კითხვებს მხარეთა მიერ ახსნა-განმარტებების წარმოთქმის დროს. ასე მოხდა თსს-ში განხილული საქმეების 35.1%-ში (77-დან 27-ში) და ბსს-ში განხილული საქმეების 25.8%-ში (31-დან 8-ში). ამ ეტაპზე მოსამართლის მიერ კითხვების დასმამ შეიძლება დაარღვიოს მხარის მიერ ახსნა-განმარტების თავისუფლად წარმოთქმის უფლება.⁴⁷

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა დადებითი ტენდენცია. კერძოდ იმ საქმეების ნაწილში რომლებშიც კერძო მხარეს ადვოკატი არ ჰყავდა, მოსამართლეები თითოეული საპროცესო ეტაპის განმარტებას ახდენდნენ, თუმცა მათ ამას კანონი არ ავალდებულებდათ. აღსანიშნავია, რომ სამწუხაროდ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ არ მოეპოვება ამ დაკვირვების ზუსტი სტატისტიკური მონაცემები. თსს-ში მოსამართლეებმა მხარეებს საქმეების 14.3%-ის (77-დან 11) შემთხვევაში, ხოლო ბსს-ში საქმეების 54.8%-ის (31-დან 17) შემთხვევაში განუმარტეს ეტაპები.⁴⁸

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აკვირდებოდა, როგორ ასაბუთებდნენ მოსამართლეები შუამდგომლობების შესახებ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს: ხსნიდნენ თუ არა მათ მარტივი ენით ან/და ასახელებდნენ თუ არა ამ გადაწყვეტილებების სამართლებრივ საფუძველს. როგორც თსს-ში, ისე ბსს-ში მოსამართლეები ხშირად თავიანთი შუალედური გადაწყვეტილებების საფუძველს არ უთითებდნენ. თსს-ში შუამდგომლობების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების 28.1%-ის (121-დან

⁴³ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.11.

⁴⁴ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.12.

⁴⁵ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.13.

⁴⁶ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.14.

⁴⁷ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.15. იხ. ასევე გვ. 9, მე-4 პარაგრაფი.

⁴⁸ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.16.

34) შემთხვევაში და ბს-ში მიღებული ანალოგიური გადაწყვეტილებების 16.7%-ის (66-დან 11) შემთხვევაში მოსამართლეებს თავიანთი გადაწყვეტილებები არ დაუსაბუთებიათ (არც სამართლებრივი არგუმენტები მოუყვანიათ და არც მარტივი ენით აუხსნიათ).⁴⁹

საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე მოსამართლემ გასაჩივრების წესი 108-ვე საქმის შემთხვევაში განმარტა⁵⁰, თუმცა თსს-ში მოსამართლეებმა საქმეების მხოლოდ 59.7%-ის (77-დან 46) შემთხვევაში გამოაცხადეს მტკიცებულებები, რომლებსაც დაეყრდნენ, ბს-ში კი ისინი ასე მხოლოდ საქმეების 19.4%-ის (31-დან 6) შემთხვევაში მოიქცნენ.⁵¹

108 საქმიდან 2-ის განხილვის დროს დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ სასამართლო სხდომის აუდიოჩაწერის ნაცვლად წერილობითი ჩანაწერები კეთდებოდა. ერთი განხილვის დროს მოსამართლემ მდივანს რამდენიმეჯერ მიუთითა, რომ სხვა რამ ჩაეწერა და არა ის, რაც სინამდვილეში ითქვა. მოსამართლის ჩარევის შედეგად სხდომის ოქმის სტენოგრაფიული ჩანაწერით შექმნილი სურათი ძალზე განსხვავებული იქნებოდა იმისგან, რაც სასამართლო დარბაზში მოხდა.⁵²

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ვალდებულებას ზოგიერთი უფლების განმარტების შესახებ, ჩვენი შეფასებით ისინი არანაკლებ მნიშვნელოვანია მხარეთა მიერ საკუთარი უფლებებით სრულყოფილად სარგებლობისათვის, განსაკუთრებით კი მაშინ როდესაც კერძო მხარე ადვოკატის გარეშე არის წარმოდგენილი. ასევე მიუხედავად იმისა რომ მოსამართლეს აქვს უფლება საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დასვას შეკითხვა, ჩვენი შეფასებით ახსნა-განმარტების ეტაპზე გადამეტებული რაოდენობის შეკითხვების დასმამ შესაძლოა ხელი შეუშალოს მხარეს საკუთარი პოზიციის სრულყოფილად ჩამოყალიბებაში. სასურველია ამ ეტაპზე დასმული შეკითხვა მხოლოდ მხარის მიერ აღნიშნული ფაქტების დაზუსტებას ისახავდეს მიზნად და არ იწვევდეს ახსნა-განმარტებისათვის ისეთი მიმართულების მიცემას, რომელიც თავად მხარის სურვილს არ შეესაბამება.

მონიტორინგის მომდევნო ეტაპზე ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული. კიდევ ერთი საკითხი რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს მთვარი სხდომის გახსნისას მოსამართლის მიერ საქმის არსის მოკლე მიმოხილვაა.


⁴⁹ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.17.

⁵⁰ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.18.


⁵¹ იხ. დანართი 5, ცხრილი 5.19.

⁵² იხ. გვ. 9, მე-4 პარაგრაფი.


გრაფიკი 9. დაასახელა თუ არა მოსამართლემ მტკიცებულებები, რომლებსაც ის ეყრდნობოდა საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებისას?
(თბილისი – 77 საქმე, ბათუმი – 31 საქმე)



გრაფიკი 10. განუმარტა თუ არა მოსამართლემ მხარეებს შესაბამისად საქმის წარმოების თითოეული ეტაპი?
(თბილისი – 77 საქმე, ბათუმი – 31 საქმე)



გრაფიკი 11. მოახერხა თუ არა მოსამართლემ
სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვა?
(თბილისი – 77 საქმე, ბათუმი – 31 საქმე)



ინკვიზიციურობის პრინციპი (მოსამართლის ინიციატივა)

ტერმინები „შეჯიბრებითი“ და „ინკვიზიციური“ გამომდინარეობს იმ ორი ტიპის პროცედურიდან, რომლებიც სამართლებრივი დავების გადასაწყვეტად საერთაშორისო მასშტაბით გამოიყენება. ზოგადად რომ ვთქვათ, შეჯიბრებით სისტემაში მხარეები თვითონ ირჩევენ, რა მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს ან ტრიბუნალს, ინკვიზიციურ სისტემაში კი სასამართლომ ან ტრიბუნალმა შეიძლება თავად ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები ან/და შეაგროვოს ის მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც იქნება მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე.⁵³ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ორივე ამ პრინციპის გამოყენებას ითვალისწინებს. მათი ერთობლიობა მოსამართლეს მისთვის განსახილველად წარდგენილი საქმის სრულყოფილად შესწავლასა და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაში უნდა ეხმარებოდეს.

ინკვიზიციურობის პრინციპის მიხედვით, მოსამართლეს უფლება აქვს, საკუთარი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები, მხარეებს მისცეს მითითებები, მოსთხოვოს მათ სარჩელის ან შეგებებული სარჩელის დაზუსტება, საქმის განხილვისას მოიწვიოს მესამე მხარეები და მხარეებს დაავალოს გარკვეული მტკიცებულებების მოპოვება. მოსამართლე ასევე უფლებამოსილია მტკიცებულებები თავად მოიპოვოს, რათა საქმის ყველა ასპექტი შეისწავლოს და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა გაუადვილდეს. მოსამართლის ეს უფლებები მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია კოდექსის მე-4 მუხლი, რომლის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.⁵⁴

სამოქალაქო დავების გადაწყვეტისას მოსამართლეს ზემოაღნიშნული უფლებები არ აქვს. სამოქალაქო პროცესი დაფუძნებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც იმ გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ სამოქალაქო დავის მიზანი მხოლოდ კერძო ინტერესების დაცვაა. ამის საპირისპიროდ, სწორედ საჯარო ინტერესის არსებობა განაპირობებს ადმინისტრაციულ დავაში ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენების აუცილებლობას. მოსამართლის ინკვიზიციურ უფლებამოსილებებს ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საჯარო დაწესებულებასა და კერძო მხარეს შორის ბალანსის დასაცავად. საჯარო ინტერესი მოსამართლეს ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტაშიც წამყვან როლს აკისრებს, თუმცა ინკვიზიციურობის პრინციპი არ გულისხმობს ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე მხარეების პასიურობას საქმის განხილვის დროს.⁵⁵ ის არც იმას გულისხმობს, რომ მხარეებს მოსამართლემ დაუსაბუთებელი შეზღუდვები დაუწესოს.

იმის დასადგენად, იყენებდნენ თუ არა მოსამართლეები ამ მნიშვნელოვან ინკვიზიციურ უფლებამოსილებებს, დამკვირვებლები ინიშნავდნენ მოსამართლის მიერ მხარეებისათვის დასმულ კითხვებს. ისინი ასევე აკვირდებოდნენ, ჩააბა თუ არა მოსამართლემ საქმეში მესამე მხარე, მისცა თუ არა მხარეებს რეკომენდაციები/ახსნა-განმარტებები, დაეხმარა თუ არა მათ მტკიცებულებების მოპოვებაში, დაადგინა თუ არა საქმესთან დაკავშირებული რაიმე მნიშვნელოვანი გარემოება, იყენებდა თუ არა თავის უფლებამოსილებებს თანამიმდევრულად, ეხმარებოდა თუ არა მხარეებს თავიანთი უფლებებით სრულყოფილად სარგებლობაში და სხვ.

⁵³ David Jackson: Adversarial and Inquisitorial Systems Medico-Legal Society of NSW Inc Scientific Meeting, March 2009, p. 1.

⁵⁴ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 4.

⁵⁵ მ. კობალეიშვილი და სხვები, გვ. 27.

შედეგები

მონიტორინგის შედეგების დამუშავებამ, როგორც თსს-ში, ისე ბსს-ში, გამოავლინა მოსამართლეთა მიერ ინკვიზიციური უფლებამოსილებების გამოუყენებლობის ტენდენცია.

ინკვიზიციურობის პრინციპის შეფასებისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ეფუძნებოდა მონიტორინგის შედეგად მიღებულ დეტალურ სტატისტიკას, კომპლექსურად და ყოველმხრივ სწავლობდა ყოველ კონკრეტულ საქმეზე მოპოვებულ ინფორმაციას და ითვალისწინებდა მონიტორების ყოველი სხდომის შედეგად ჩამოყალიბებულ შთაბეჭდილებებს. გარდა ზოგადი სტატისტიკისა, გამოიკვეთა ცალკეული შემთხვევები, როდესაც აშკარად გამოჩნდა მოსამართლის პასიურობა და ინკვიზიციურობის პრინციპის უგულვებელყოფა. მაგალითად:

შეჯიბრებითობის პრინციპზე მითითება – 108-დან 2 საქმის (1.9%-ის) განხილვისას (ორივე თსს-ში გაიმართა) მოსამართლეებმა შეჯიბრებითობის პრინციპზე მიუთითეს. მათ აღნიშნეს, რომ, შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად, გადაწყვეტილება თავად მხარეების მიერ მოწოდებულ ფაქტებსა და მტკიცებულებებს დაეფუძნებოდა. მოსამართლეებს არც ერთი საქმის განხილვისას არ უხსენებიათ ინკვიზიციურობის პრინციპი.

ინკვიზიციური უფლებამოსილებების გამოყენების სურვილის არარსებობა – თსს-ში გამართული ერთ-ერთი საქმის განხილვისას, რომლის დროსაც სახელმწიფო მხარის მიერ ინფორმაციის მიწოდება გახდა საჭირო, მოსამართლემ, იმის ნაცვლად, რომ ინფორმაცია საკუთარი ინიციატივით გამოეთხოვა, მოსარჩელეს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „რა ვქნა, თუ დააყენებთ შუამდგომლობას, გამოვითხოვ ინფორმაციას“.

მოსამართლეებმა საქმეში მონაწილეობისთვის მესამე მხარეები განხილული საქმეების მხოლოდ 6.5%-ის შემთხვევაში (თბილისში 77 საქმიდან 5-ში და ბათუმში 31 საქმიდან 2-ში) მიიწვიეს.⁵⁶

მოსამართლეებმა საკუთარი ინიციატივით დამატებითი ინფორმაცია ან მტკიცებულებები გამოითხოვეს თსს-ში გამართული სხდომების მხოლოდ 3.4%-ში (174-დან 6-ში) და ბსს-ში გამართული სხდომების მხოლოდ 3.8%-ში (78-დან 3-ში).⁵⁷

მოსამართლეები თსს-ში განხილული საქმეების შემთხვევაში საშუალოდ შვიდ და ბსს-ში განხილული საქმეების შემთხვევაში საშუალოდ ხუთ კითხვას სვამდნენ.⁵⁸ მთლიანობაში, საქმეების 17.6%-ის (108-დან 19) შემთხვევაში მოსამართლეს არც ერთი კითხვა არ დაუსვამს, 13.9%-ის (108-დან 15) შემთხვევაში კი მან მხოლოდ ერთი ან ორი კითხვა დასვა.

მოსამზადებელი სხდომის ეტაპზე თსს-ს მოსამართლეები მხარეებს მორიგებას მხოლოდ სხდომათა 42.9%-ის (28-დან 12) შემთხვევაში სთავაზობდნენ. ბსს-ში მოსამართლეები ამ მხრივ უკეთ მოქმედებდნენ და მხარეებს მორიგებას მოსამზადებელი სხდომების 81.8%-ის (11-დან 9) შემთხვევაში სთავაზობდნენ.⁵⁹

⁵⁶ იხ. დანართი 6, ცხრილი 6.1.

⁵⁷ იხ. დანართი 6, ცხრილი 6.2.


⁵⁸ იხ. დანართი 6, ცხრილი 6.3.

⁵⁹ იხ. დანართი 6, ცხრილი 6.4.

მთავარი სხდომის ეტაპზე მოსამართლეები მხარეებს მორიგებას თსს-ში მხოლოდ სხდომათა 26.7%-ის (146-დან 39) შემთხვევაში სთავაზობდნენ, ბსს-ში კი – მხოლოდ სხდომათა 6%-ის (67-დან 4) შემთხვევაში.⁶⁰


სასურველია, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი პრინციპების განმარტებისას მოსამართლეები მხარეებს შეჯიბრებითობის გარდა ასევე ინკვიზიციურობის პრინციპზეც მიუთითებდნენ. ზემოთ მოცემული მაგალითი იწვევს ეჭვს, რომ ხშირ შემთხვევაში საჭიროების მიუხედავად მოსამართლეები თავს იკავებენ ინფორმაციისა და მტკიცებულებების გამოთხოვისა და ზოგადად ინიციატივის გამოჩენისგან. სწორედ ამიტომ მონიტორინგის მომდევნო ეტაპზე კიდევ უფრო მეტი ყურადღება იქნება გამახვილებული ამ საკითხზე. ასევე ჩვენი შეფასებით მეტი ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული მხარეებისათვის მორიგებისა და მორიგების კონკრეტული პირობების შეთავაზებაზე.

გრაფიკი 12. გამოითხოვა თუ არა მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით დამატებითი ინფორმაცია/მტკიცებულებები მთავარ სხდომაზე? (თბილისი – 146 სხდომა, ბათუმი – 67 სხდომა)



⁶⁰ იხ. დანართი 6, ცხრილი 6.4.

გრაფიკი 13. შესთავაზა თუ არა მოსამართლემ მხარეებს მორიგების მიღწევა მთავარ სხდომაზე?
(თბილისი – 146 მთავარი სხდომა, ბათუმი – 67 მთავარი სხდომა)
(გრაფიკი არ ასახავს იმ სხდომების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებსაც ერთ-ერთი მხარე არ ესწრებოდა)



მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობის პრინციპი

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული პროცესის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია შეჯიბრებითობის პრინციპი⁶¹, რომელიც ინკვიზიციურობის პრინციპთან ერთად მოქმედებს. ამგვარად, მოსამართლეები ვალდებული არიან უზრუნველყონ სასამართლო დარბაზში შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი პროცესის განმავლობაში მხარეთა თანასწორობა სრულად უნდა იქნეს დაცული. მხარეთა თანასწორობა შეიძლება დაირღვეს, თუ მოსამართლე: ზედმეტად აქტიურობს; მხარეებს სიტყვას აწყვეტინებს; კითხვების მოცულობას ან რაოდენობას ზღუდავს, ან მათ შინაარსს ცვლის; მხოლოდ ერთი მხარის შუამდგომლობებს აკმაყოფილებს; დამატებითი ინფორმაციის წარდგენას მხოლოდ ერთი მხარისგან მოითხოვს; ისეთ მტკიცებულებებს მოიპოვებს, რომლებიც მხოლოდ ერთი მხარის არგუმენტების გამყარებას უწყობს ხელს. ამასთანავე, შეჯიბრებითობის პრინციპი მოსამართლის ზედმეტმა პასიურობამაც შეიძლება დაარღვიოს. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ, მაგალითად, ერთი მხარე ხელს უშლის მეორის მიერ უფლებებით სარგებლობას და მოსამართლე არ იღებს ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, არ ზღუდავს ისეთი კითხვების რაოდენობას, რომელთა შეზღუდვაც აუცილებელია, არ გამოითხოვს სიმართლის დასადგენად აუცილებელ ინფორმაციას და სხვ.

შედეგები

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლეები უმეტესად იცავდნენ მხარეთა თანასწორობის პრინციპს.

მაგალითად, მოსამართლეები მოსარჩლეებსაც და მოპასუხეებსაც დაახლოებით ერთსა და იმავე რაოდენობის კითხვებს უსვამდნენ. ახსნა-განმარტების ეტაპზე თსს-ს მოსამართლეებმა მოსარჩელეს კითხვები 21 საქმის განხილვისას, მოპასუხეს კი – 16 საქმის განხილვისას დაუსვეს. იმავე ეტაპზე ბსს-ს მოსამართლეებმა ორივე მხარეს კითხვები 5 საქმის განხილვისას დაუსვეს.⁶²

მოსამართლეები მოსარჩლეებისა და მოპასუხეების მიერ წარდგენილი შუამდგომლობების დაახლოებით ერთსა და იმავე პროცენტულ რაოდენობას აკმაყოფილებდნენ. თსს-ში მოსარჩლეების მიერ წარდგენილი შუამდგომლობებიდან 68.7% (83-დან 57) და მოპასუხეების მიერ წარდგენილი შუამდგომლობებიდან 66.7% (42-დან 28) დაკმაყოფილდა. ბსს-ში დაახლოებით იგივე მდგომარეობა დაფიქსირდა: მოსარჩლეების მიერ წარდგენილი შუამდგომლობებიდან მოსამართლეებმა 62.8% (43-დან 27) და მოპასუხეების მიერ წარდგენილი შუამდგომლობებიდან 54.5% (22-დან 12) დააკმაყოფილეს.⁶³

მოსამართლეები მხარეებს შუამდგომლობების წარდგენას მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაურღვევლად სთავაზობდნენ. მოსამართლეები ეტაპზე თსს-ს მოსამართლეებმა შუამდგომლობის წარდგენა თითოეულ მხარეს სხდომათა 53.6%-ის (28-დან 15) შემთხვევაში შესთავაზეს. ბსს-ს მოსამართლეებმა ეს მოსარჩლეებს სხდომათა 90.9%-ის (11-დან 10) შემთხვევაში,

⁶¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 4; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 4.

⁶² იხ. დანართი 7, ცხრილი 7.1.


⁶³ იხ. დანართი 7, ცხრილები 7.2 და 7.3.

მოპასუხეებს კი – სხდომათა 81.8%-ის (11-დან 9) შემთხვევაში შესთავაზეს. მსგავსი ტენდენცია მთავარ სხდომებზედაც იქნა შემჩნეული.⁶⁴

ამავე დროს, მხარეებს საკუთარი პოზიციების წარდგენის თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდათ. თსს-ში განხილული 77 საქმიდან მხოლოდ 1 შემთხვევა (1.3%) დაფიქსირდა, როდესაც მოსამართლემ მოსარჩელეს ახსნა-განმარტება შეუზღუდა. ბსს-შიც მხოლოდ 1 ასეთი შემთხვევა (საქმეების 3.2%) დაფიქსირდა.⁶⁵

თსს-ში განხილული 77 საქმიდან მხოლოდ 4 შემთხვევაში (5.2%) გაჩნდა საფუძველი ეჭვისათვის, რომ მოსამართლე მიკერძოებულად იქცეოდა. მიკერძოება ოთხივეჯერ იმით გამოიხატა, რომ მოსამართლემ მოპასუხის (თბილისის მერიის) პოზიციის განმარტება და გამართლება დაიწყო და მოსარჩელეს კითხვების დასმის დროს შეეკამათა. ბსს-ში ამგვარი მიკერძოების შემთხვევა არ დაფიქსირებულა.⁶⁶

გრაფიკი 14. მოსარჩელის მიერ შუამდგომლობის დაყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები (თბილისი – 83 შუამდგომლობა, ბათუმი – 43 შუამდგომლობა)




⁶⁴ იხ. დანართი 7, ცხრილი 7.4.

⁶⁵ იხ. დანართი 7, ცხრილი 7.5.

⁶⁶ იხ. დანართი 7, ცხრილი 7.6.

გრაფიკი 15. მოპასუხის მიერ შუამდგომლობის
დაყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები
(თბილისი – 42 შუამდგომლობა, ბათუმი – 32 შუამდგომლობა)




დავების შედეგები

ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას საპროცესო ნორმების დაცვის მონიტორინგის გარდა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ იმ 108 საქმის განხილვის შედეგებიც დააფიქსირა, რომელთა მონიტორინგსაც ის ახორციელებდა. ამ პროცესმა ადმინისტრაციული დავების განხილვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და პოტენციურად ძალზე პრობლემური სფერო გამოავლინა: საქმეების 92.6%-ში (108-დან 100-ში) დავა სრულად ან ნაწილობრივ სახელმწიფოს სასარგებლოდ დასრულდა.⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული 2011 წელის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ანალოგიური შედეგი ადმინისტრაციულ საქმეთა 74.3%-ის შემთხვევაში დადგა.⁶⁸ აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა არ გამოჰყოფს მონაცემებს ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სარჩელების შესახებ. შესაბამისად, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა კატეგორიაში აისახებიან ისინი. ამასთანავე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ არც მორიგებით დასრულებული საქმეების შესახებ სტატისტიკა აქვს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ არსებითად არ შეუსწავლია ის საქმეები და არც საქმის მასალები, რომელთა მონიტორინგსაც ახორციელებდა. ვინაიდან დავათა შინაარსი არ შეფასებულა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ამ გადაწყვეტილებების სამართლიანობაზე ან კანონიერებაზე მოსაზრებას არ გამოთქვამს, თუმცა სახელმწიფოს მიერ საქმეების მოგებით დასრულების მეტად მაღალი მაჩვენებელი გადაწყვეტილებების გამოტანისას სასამართლოს შესაძლო მიკერძოებულობაზე მიუთითებს.

გრაფიკი 16. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები სახელმწიფო მხარე კერძო მხარის წინააღმდეგ




⁶⁷ იხ. დანართი 8, ცხრილები 8.1 და 8.2.

⁶⁸ საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები (2011 წელი), <http://www.supremecourt.ge/2011-year-statistic/>, ნანახია 2012 წლის 14 მაისს. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ, უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სახელმწიფო მხარეების მიერ მოგებულ საქმეთა რაოდენობა 2008–2011 წლებში 46.7%-დან 74.3%-მდე გაიზარდა.

გრაფიკი 17. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სტატისტიკური მონაცემები

სახელმწიფო მხარე კერძო მხარის წინააღმდეგ
(108 საქმე)



სხვა მნიშვნელოვანი დაკვირვებები

